საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 31 იანვარი, 2024 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/19

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის „აუდიოვიზუალური ხელოვნების (მხატვრული კინოს რეჟისურა)“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა ახალაკრედიტებულ „მხატვრული კინოს რეჟისურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გადაყვანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის, სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესის 2^1 მუხლის მე-20 და 20^1 პუნქტების, 4^1 მუხლის, „სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „მხატვრული კინოს რეჟისურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 29 დეკემბრის MES 9 23 0001783884 გადაწყვეტილებისა და სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის საბჭოს 2024 წლის 16 იანვრის №25 საოქმო გადაწყვეტილების საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის „აუდიოვიზუალური ხელოვნების (მხატვრული კინოს რეჟისურა)“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები, თავსებადობის დასკვნის საფუძველზე, გადაყვანილ იქნან ახალაკრედიტებულ „მხატვრული კინოს რეჟისურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2. დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტებს უფლება მიეცეთ სწავლა გააგრძელონ და პროგრამა დაასრულონ არსებული სასწავლო სტრუქტურით (მოდიფიცირების გარეშე).

3. 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს პირველი სასწავლო წლის სტუდენტების მიერ ათვისებული სასწავლო კურსების (კრედიტების) ახალაკრედიტებულ „მხატვრული კინოს რეჟისურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობის დასკვნების შედგენა.

4. მოდიფიცირებული სასწავლო სტრუქტურისა და სტუდენტისათვის აღიარებული კრედიტების შესაბამისად დამატებითი სასწავლო კურსების გავლის აუცილებლობის წარმოქმნის შემთხვევაში, სტუდენტების ინტერესებიდან გამომდინარე, მოხდეს დამატებითი სწავლის საფასურის გადახდის გარეშე სტუდენტთათვის სასწავლო კურსების გავლის უფლების მინიჭება.

5. წინამდებარე დადგენილების გათვალისწინებით გამოიცეს ბხსუ-ს რექტორის შესაბამისი სამართლებრივი აქტი.

6. დადგენილების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს რექტორის მოადგილემ ი. ხალვაშმა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ქ.ვაჩეიშვილმა.

7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. № 30).

8. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **თ. კეჟერაძე**